სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 სექტემბერი, 2026 წ.

ბრძანება №01-08/608

2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების", „იმ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვთ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მაისის №212 დადგენილების, ,,საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების, ,,იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც 2026 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს ბაკალავრიატის, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ'' საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 25 აგვისტოს MES 3 26 0001092486 ბრძანების, ,,რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც 2026 წელს მოიპოვეს უმაღლეს საგანმაწათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტების ან ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე'' საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 25 აგვისტოს MES 8 26 0001092490 ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/125 დადგენილების ,,,2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს №01-02/159 ბრძანების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 21 სექტემბრის MES 2 26 0001268787 სამსახურებრივი ბარათის, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 სექტემბრის №01-14/549 ბრძანების და ,,ერაზმუს + პროგრამის ფარგლებში (ადმინისტრაციული მობილობა) ბსუ-ს რექტორის მოადგილე გიორგი ქათამაძის ლატვიაში, ვიძემის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში გამგზავრების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის №01-06/360 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პირველი საფეხურის/ერთსაფეხურიან/ქართული ენის მომზადების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე** პირები (სულ **1923 პირი),** წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართების შესაბამისად:

1.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - 590 პირი (წინამდებარე ბრძანების **დანართი №1);**

1.2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე - 193 პირი (წინამდებარე ბრძანების **დანართი №2);**

1.3. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 275 პირი (წინამდებარე ბრძანების **დანართი №3);**

1.4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე - 148 პირი (წინამდებარე ბრძანების **დანართი №4);**

1.5. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე - 172 პირი (წინამდებარე ბრძანების **დანართი №5);**

1.6. ტურიზმის ფაკულტეტზე - 205 პირი (წინამდებარე ბრძანების **დანართი №6);**

1.7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 340 პირი (წინამდებარე ბრძანების **დანართი №7).**

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე), ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე,

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ სირაძე**